დანართი-შეთანხმება №1

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიასა და შ.პ.ს „ონიქს როუდი“-ს შორის

2022 წლის 28 თებერვალს დადებული №87 ხელშეკრულებაზე

ქ. ქუთაისი

27 მაისი 2022 წელი

„სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონმდებლობისა და „მიმწოდებლის“ სატენდერო წინადადების საფუძველზე, **№NAT220001025** ელექტრონული ტენდერის აუქციონის გარეშე ჩატარების შედეგად ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიასა და შ.პ.ს „ონიქს როუდი“-ს შორის 2022 წლის 28 თებერვალს დაიდო №87 ხელშეკრულება, რომლითაც განსაზღვრულია ქალაქ ქუთაისში, ხახანაშვილის და ჯიბლაძის ქუჩების საგზაო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია.

შ.პ.ს „ონიქს როუდი“-ს 2022 წლის 20 მაისის #75 (№10/4422140315-44 20.05.2022 წ.) წერილის და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ინფრასტრუქტურის განვითარების, კეთილმოწყობისა და დასუფთავების სამსახურის 2022 წლის 23 მაისის №03-4422143460 მომართვის საფუძველზე დროებით გაუქმდეს ხახანაშვილის ქუჩაზე ხელშეკრულებით განსაზღვრული გეგმა-გრაფიკის დინება (სამუშაოების განსაზღვრული გრაფიკის ათვლა განხორციელდეს ჯიბლაძის ქუჩაზე სამუშაოების დასრულების შემდეგ), ხოლო ჯიბლაძის ქუჩაზე სამუშაოების დასრულების ვადა გაგრძელდეს 2022 წლის 15 სექტემბრის ჩათვლით.

აღნიშნულიდან გამომდინარე:

ერთის მხრივ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერია, ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის იოსებ ხახალეიშვილის სახით (ქ. ქუთაისი 4600, შ. რუსთაველის გამზ. №3, ს/კ 212721170,) (შემდგომში „შემსყიდველი“).

მეორეს მხრივ შ.პ.ს „ონიქს როუდი“, მისი დირექტორის კობა ონიანის სახით (მისამართი: დაბა ლენტეხი, თამარ მეფის ქუჩა #35, სართული 3, ბინა #16 ტელ: 599 21 99 21, ს/კ **434067109**) (შემდგომში „მიმწოდებელი“).

ვდებთ ამ შეთანხმებას შემდეგზე:

1. მხარეები თანხმდებიან, რომ 2022 წლის 28 თებერვლის დადებული №87 ხელშეკრულების მე-3 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: ,,შეჩერდეს ხახანაშვილის ქუჩაზე ხელშეკრულებით განსაზღვრული გეგმა-გრაფიკის დინება (სამუშაოების განსაზღვრული გრაფიკის ათვლა განხორციელდეს ჯიბლაძის ქუჩაზე სამუშაოების დასრულების შემდეგ), ხოლო ჯიბლაძის ქუჩაზე სამუშაოების დასრულების ვადა გაგრძელდეს 2022 წლის 15 სექტემბრის ჩათვლით“.
2. მხარეები თანხმდებიან, რომ 2022 წლის 28 თებერვალს დადებული №87 ხელშეკრულების მე-19 მუხლით განსაზღვრული ხელშეკრულების მოქმედების ვადა გაგრძელდეს 2022 წლის 15 ნოემბრის ჩათვლით, გარდა ხელშეკრულებით განსაზღვრული იმ ვალდებულებებისა, რომელთა არსებობაც არ არის დამოკიდებული ხელშეკრულების მოქმედების ვადაზე.
3. მხარეები თანხმდებიან, რომ 2022 წლის 28 თებერვალს დადებული №87 ხელშეკრულების მე-13 მუხლით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციები გავრცელდება ამ დანართი-შეთანხმების პირველი მუხლით განსაზღვრული პირობის შეუსრულებლობის შემთხვევაში.
4. მხარეები თანხმდებიან, რომ 2022 წლის 28 თებერვალს დადებული #87 ხელშეკრულების მე-4 მუხლის 4.1 პუნქტით გათვალისწინებული ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია და საავანსო ანგარიშსწორების საბანკო გარანტია, გარანტიის ვადის გაგრძელების თაობაზე წარმოდგენილი იქნას 2022 წლის 8 ივნისის ჩათვლით, წინააღმდეგ შემთხვევაში ძალადაკარგულად ჩაითვლება აღნიშნული დანართი-შეთანხმება. (ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტიის და საავანსო ანგარიშსწორების საბანკო გარანტიის საგარანტიო ვადა უნდა გაგრძელდეს მინიმუმ 2022 წლის 15 დეკემბრის ჩათვლით.)
5. დანართი შეთანხმება №1 ძალაში შედის 2022 წლის 27 მაისიდან და წარმოადგენს 2022 წლის 28 თებერვალს დადებული №87 ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

იოსებ ხახალეიშვილი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

(შემსყიდველი)

კობა ონიანი

შ.პ.ს „ონიქს როუდი“-ს დირექტორი

(მიმწოდებელი)

Kutaisi City Municipality

Digitally signed by Kutaisi City Municipality
DN: cn=Kutaisi City Municipality, 2.5.4.97=NTRGE-212721170, o=....., c=GE
Date: 2022.05.27 18:02:58 +04'00'

Koba Oniani

Digitally signed by Koba Oniani
Date: 2022.05.30 09:45:29 +04'00'

1025

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის
ინფრასტრუქტურის განვითარების, კეთილმოწყობისა
და დასუფთავების სამსახური
KUTAISI CITY MUNICIPALITY
OFFICE OF INFRASTRUCTURE DEVELOPMENT, PUBLIC
AMENTIES AND WASTE MANAGEMENT

წერილის ნომერი:**03-4422143460**
თარიღი: **23/05/2022**

ადრესატი:

იოსები ხახალეიშვილი
ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერს

ბატონ იოსებ ხახალეიშვილს

ბატონო იოსებ,

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიასა და შპს"ონიქს როუდ"ს შორის, 28/02/2022 წელს და დებული N87 ხელშეკრულებით (NAT220001025) გათვალისწინებულია ქ.ქუთაისში, ხახანაშვილის და ჯი ბლაძის ქუჩების საგზაო ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია. 20/05/2022 წლის #1/75 წერილით, მიმწოდებელმა მოითხოვა სამუშაოების ვადის გაგრძელება 15 სექტემბრის ჩათვლით.

გაცნობებთ, რომ ჯიბლაძის ქუჩაზე ექსკავაციის შედეგად დაფიქსირდა კომუნალური სერვისების მიმწოდებელი კომპანიების ინფრასტრუქტურის პრობლემა, რომელიც არ არის მუნიციპალური ქონება და ვერ დაფინანსდება ბიუჯეტიდან. ხანგრძლივი სატრანსპორტო შეზღუდვის თავიდან აცილების მიზნი თ, ხახანაშვილის ქუჩაზე სამშენებლო სამუშაოების დაწყება არ მოხდა ჩვენი მოთხოვნით. შესაბამისად, ხახანაშვილის ქუჩის სამშენებლო სამუშაოების განსაზღვრული გრაფიკის ათვლა უნდა განხორციელდე ს ჯიბლაძის ქუჩაზე სამშენებლო სამუშაოების დასრულების შემდეგ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ხახანაშვილის ქუჩის სამშენებლო სამუშაოების გრაფიკი უნდ ა ჩაითვალოს გაუქმებულად და მისი ათვლა დაიწყოს ჩვენი სამსახურის წერილობითი თანხმობის შემდ ეგ. ხოლო, ჯიბლაძის ქუჩის სამშენებლო სამუშაოების ვადა გახანგრძლივდეს მიმწოდებლის მიერ მოთხ ოვნილი ვადის შესაბამისად.

გთხოვთ, თქვენი თანხმობის შემთხვევაში, დაავალოთ საფინანსო პოლიტიკისა და სახელმწიფო შესყიდვების სამსახურს, გააფორმოს დანართი-შეთანხმება.

პატივისცემით,

კარლო კუხიანიძე

პირველადი სტრუქტურული ერთეული ინფრასტრუქტურის განვითარების, კეთილმოწყობისა და დასუფთავების სამსახური-სამსახურის ხელმძღვანელი (მოვალეობის შემსრულებელი)

საქართველო, 4600, ქუთაისი, რუსთაველის გამზ. N3 ტელ: (+431) 240648; ელ-ფოსტა: KUTAISISINFRASTRUCTURA@GMAIL.COM; ვებ-გვერდი: WWW.KUTAISI.GOV.GE
N3 RUSTAVELI AVE, KUTAISI. GEORGIA, 4600. TELEPHONE: (+431) 240648; E-MAIL: CONTACT@KUTAISI.GOV.GE, WEBSITE: WWW.KUTAISI.GOV.GE

შპს „ონიქს როუდი“
„ONYX ROAD“ LTD
მის: დაბა ლენტეხი, თამარ მეფის ქ.. 35
ტელ: (+995) 599 21 99 21
E-mail: onyx.road@yahoo.com
ს/კ 434067109

N 1/75

20 მაისი 2022წ.

ქ, ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერს
ბატონ იოსებ ხახალეიშვილს

ბატონო იოსებ,

ურთიერთშორის გაფორმებული ხელშკრულების #87 28.02.2022 წ. ვასრულებთ ქ.ქუთაისში ხახანაშვილის და ჯიბლაძის ქუჩების საგზაო ინფრასტრუქტურული რეაბილიტაცის სამუშაოებს.

მოგახსენებთ, რომ მ/წლის 17 მაისისთვის დასრულებული იქნა სილქნეტის, ახალი ქსელებისა და სოკარ-გაზის შესასრულებელი სამუშაოები. დღეის მდგომარეობით დარჩენილია ელექტროენერგიის მიწისქვეშა კომუნიკაციის გადატანის საკითხი. ასევე როგორც თქვენთვის ცნობილია განხორციელებულია პროექტის კორექტირება, რაც ზრდის შესასრულებელი სამუშაოების მოცულობას, რომელსაც ესაჭიროება დამატებითი გარკვეული დრო.

გთხოვთ, ყოველივე ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე სამუშაოების დასრულების ვადა გადაგვიწიოთ 2022 წლის 15 სექტემბრის ჩათვლით.

პატივისცემით,

შპს "ონიქს როუდი"-ს დირექტორი: კ.ონიანი

10/442 2140315-44
20.05.2022